# გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, შობას, კალანდას!



გილოცავთ დამდეგ შობა - ახალ წელს, კალანდას!!! 2019 წელი ყოფილიყოს, ჩვენი ქვეყნისთვის, გურიის რეგიონისთვის, თითოეული მოქალაქისა და მათი ოჯახებისთვის კეთილდღეობის მომტანი. მინდა დამდეგი ახალი წელი განსაკუთრებით მივულოცო იმ ადამიანებს, რომლებიც 24 საათიან რეჟიმში მუშაობენ, ზრუნავენ ჩვენს ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე. ესენი არიან, სამართალდამცავები, მეხანძრე-მაშველები და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები. მთელი გულით ვულოცავ ახალ წელს ემიგრანტებს. ჩვენ, მათ ყველანაირ პირობას შევუქმნით, რათა უმოკლეს დროში მოხდეს მათი დაბრუნება. ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თითოეული მოქალაქის სურვილები რეალობად აქციოს და მათ ოჯახებს კეთილდღეობა მოუტანოს. ასევე, გააგრძელოს წინსვლისთვის გადადგმული მნიშვნელოვანი და პოზიტიური ნაბიჯები. ახალი 2019 წელი აუცილებლად იქნება სიახლის, წარმატების, წინსვლის, ეკონომიკური აღმავლობის წელიწადი. კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ მშვიდობას!!!

პატივისცემით,

გურიის გუბერნატორი

**ზურაბ ნასარაია**



გილოცავთ ახალ, 2019 წელს!

მადლობას გიხდით გასულ წელს, ურთულეს საარჩევნო პერიოდში გამოჩენილი თანადგომისა და ნდობისთვის, რითიც ჩვენ შევძელით ქვეყანაში სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნება.

ვიცი, რომ ახალ წელს ყველა ოჯახი კეთილდღეობით ვერ ხვდება.

მინდა, მათ განსაკუთრებულად მივულოცო და ვუთხრა, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა შრომისმოყვარე ადამიანი ღირსეულ პირობებში ცხოვრობდეს და ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მომავალი უზრუნველყოფილი იყოს.

მჯერა, რომ ყოველი მომდევნო წელიწადი განვლილზე უკეთესი იქნება და ამას თითოეული თქვენგანი საკუთარ ოჯახებში იგრძნობთ!

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას ახალ წელს! სიმშვიდისა და წარმატებების წელიწადი გვქონოდეს!

**ნინო წილოსანი**

ლანჩხუთი-ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 49 (10294) 27 დეკემბერი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.



## მაღაზია „ნეპტუნი“ გილოცავთ ახალ წელს!



მისამართი ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. №15


## ოზურგეთელი ქალი დეპუტატების წამოწყება მეწარმეობის ხელშეწყობისთვის

**ალიონი.** 23 დეკემბერს შეკვეთილში, სასტუმრო „პარაგრაფში“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალი წევრების მარიკა **ჩხიკვიშვილის, ხათუნა ცერცვაძის, ქეთევან ვასაძის** ინიციატივით და გურიის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის ად-მინისტრაციასთან პარტნი-ორობით მეწარმე ქალთა ფორუმი გაიმართა.

ღონისძიებაზე იმ გამოწვევებზე ისაუბრეს, რომლებსაც მეწარმეები საკუთარი საქმიანობის წარმართვისას აწყდებიან. მათ საშუალება მიეცათ, ინფორმაცია მიეღოთ დაფინანსებისა და სხვა შესაძლებლობების შესახებ ისეთი ორგანიზაციებიდან, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“, „ევროპის ფონდი“, სავაჭრო პალატა, გლობალ ბენეფით ჯორჯია, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია და სხვა. ფორუმის ფარგლებში ასევე გაიმართა დისკუსია მეწარმეებისთვის აქტუალურ საკითხებზე.

აჩვენეს ფილმი, რომელიც 4 ოზურგეთელი ქალბატონის საქმიანობას ასახავდა, რომლებიც საკუთარი ძალებით ცდილობენ შემოსავალი მიიღონ. საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს სხვებს ადგილობრივმა, უკვე წარმატებულმა მეწარმე ქალებმა.

შეხვედრას ადგილობრივი ხელისუფლების, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავ-


▶▶▶ გვ-3




# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



დაიწყეთ ყოველი რიჟრაჟი ალიონზე

«ალიონით»


# შეამოწმებენ თუ არა მდინარე ბჟუჟში ტყვიის შემცველობას



**ალიონი.** გაზეთი „ალიონი“ 10 დეკემბრის ნომერში წერდა ოზურგეთში ტყვიის ნარჩენებით მდინარე აჭისწყლისა და ბჟუჟის დაბინძურების შესახებ. აღნიშნულ მდინარეებში გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის „ორქისის“ კვლევით, ტყვიის შემცველობა ყველაზე მაღალია რეგიონის მდინარეებს შორის.

მიზეზი კი შპს „ჯეო-გადამამუშავებელის“ მიერ ოზურგეთის ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე ტყვიის მიღების მიზნით, აკუმულატორის ჯართის კუსტარულად დამუშავება იყო. აკუმულატორების ჯართის დიდი პარტია აფრიკის კონტინენტითაც კი შემოდიოდა.

აღნიშნული ქარხნის გარშემო მჭიდროდ დასახლებული ადგილობრივი მოსახლეობა მანამდე 2 წლის განმავლობაში ტყვიის კუსტარული დამუშავებისაგან სუნთქვით და ჯანმრთელობის სხვა სერიოზულ პრობლემებს უჩიოდნენ.

სურსათის უვნებლობის ეროვნ-ული სააგენტოს გურიის საამმართ-ველომ ქ. ოზურგეთის ექადიის უბანში (იქ, სადაც „მანსაროვარის“ საწარმო იყო) აღმოაჩინა ტყვიის მაღალი შემცველობა დაკლული საქონლის ხორცში. ასეთი რამდენიმე შემთხვევა იყო. მოსახლეობა მართავდა საპროტესტო აქციებს და ხელისუფლებას დახმარებას სთხოვდა.

**ადგილობრივი მოსახლეობის, გაზეთ „ალიონის“ რედაქციის, არასამთავრობო ორგანიზაციების** და გურიის იმჟამინდელი გუბერნატორის **გია სალუქვაძის** ერთობლივი ძალისხ-მევით არ განხორციელდა პროექტი, „ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული ტყვიის აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია.“

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დასკვნის საფუძველზე, ახალი ქარხნის აშენება, სადაც ვადაგასული აკუმულატორების გადამუშავებით ყოველწლიურად 15 ათასი ტონა ტყვია უნდა მიეღოთ - არ განხორციელდა.

სამწუხაროდ, დაუცველი დარჩა მდინარე აჭისწყალი, რომლის მახლობლად არის ქარხანა. ტყვიის ნარჩენები კვლავინდებურად ჟონავს და აბინძურებს აჭისწყლისა და ბჟუჟის აუზებს...

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის/დედამიწის მეგობრები -საქართველოს თანათავმჯდომარე **ნი-ნო ჩხობაძე** ამბობს, რომ – *2015 წელს „ორქისმა“ მათი დავალებით გააკეთა ეს კვლევა.. ტყვიის ნეიტრალიზატორი არ არსებობს. მდინარეების აღნიშნულ მონაკვეთში არ შეიძლება ბანაობა, წყლის საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის გამოყენება. უნდა მოხდეს ქარხის ტერიტორიაზე ტყვიის გაჟონვის კერის იზოლაცია. ამ ხერხით უნდა შეწყდეს ტყვიის გაჟონვა.*

გაზეთი „ალიონი“ ამ დღეებში, ქ. თბილისში გარემოსდაცვით ორგანიზაცია, შპს „გამა კონსალტინგის“ სპეციალისტებს შეხვდა და არსებული მდგომარეობა გააცნო.

„გამა კონსალტინგის“ სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნულით უნდა დაინტერესდეს ადგილობრივი ხელისუფლება, უნდა მოხდეს დაბინძურების კერის კვლევა, ანალიზი უნდა გაუკეთდეს მდინარეებში ტყვიის შემცველობას და შემდეგ სპეციალისტები დადებენ კვლევას, რომლის მიხედვით განისაზღვრება რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის დასარეგულირებლად.

იმედია გურიის სამხარეო ადმინისტრაცია და ოზურგეთის მუნიციპალიტეტი დაინტერესდება ამ თემით და იზრუნებენ საჭირო კვლევების ჩატარებას.

# მდინარე სუფსის აუზის გასწორხაზოვნება მოხდება



.გასულ წელს,ძლიერი წვიმის შედეგად, ადიდებულმა მდინარე სუფსამ სოფელ ნაგომარში მოსახლეობის კუ-თვნილი საყანე ფართობები დატბორა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილი წაიღო. საფრთხე შეექმნა ოზურგეთი-ჩოხატაურის დამაკავშირებელ სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზასაც. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად დღის წესრიგში დადგა დამცავი ჯებირების მოწყობა და ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებამდე, რაც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პრეროგატივას წარმოადგენს, მიიღო გადაწყვეტილება ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრებით განეხორციელებინა მდინარის გასწორზახოვნება და წალებული ფართობების ინერტული მასალით შევსება.

სამუშაო პროცესს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი გაეცნო.

# მადლობა ოზურგეთის მერს!



**დამდეგ შობა ახალ წელს ვულოცავთ და მადლობას ვუხდით ბატონ კოტე შარაშენიძეს ჩვენი კორპუსის გადახურვისთვის.**

**ნიკო ნიკოლაძის ქუჩა №48-ში მცხოვრებლები.**

# სამხატვრო სკოლას მალე ახალი შენობა ექნება

**ალიონი.** ოზურგეთის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ ის ბავშვები დააჯილდოვა, რომლებმაც საერთაშორისო კამპანიის „არა ძალა-დობას“ ფარგლებში სხვადასხვა აქტივობებში მიიღეს მონაწილეობა. სამხატვრო სკოლისა და ძიმითის საჯარო სკოლის 20 მოსწავლე მერმა საკუთარ კაბინეტში მიიღო. მან ბავშვებს მადლობის სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა.

**კახა ვასაძე,** სამხატვრო სკოლის დირექტორი: „*ამ ბავშვების ნამუშევრები როგორც საუკეთესო, 80 ნახატიდან შეირჩა. წელს ნაყოფიერი წელი გვქონდა. 16 ღონისძიებაში მივ-იღეთ მონაწილეობა და ჯილდოებიც უხვად მივიღეთ. მინდა გითხრათ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთან ამ ფორმატის შეხვედრა ჩვენთვის პირველია. კარგი იქნება თუ ტრადიციად ვაქცევთ და ყოველწლიურად წავახალისებთ წარმატებულ ბავშვებს*“.

როგორც ამ შეხვედრაზე გავიგეთ სამხატვრო სკოლას მალე ახალი შენობა ექნება. ჯერჯერობით მერმა არ იცის ახალ შენობას ააშენებენ თუ უკვე არსებული შენობებიდან შეარჩევენ რომელიმეს.

„*მთავარია სამხატვრო სკოლი-სთვის შესაბამისი შენობა შეირჩეს, რომელიც ნაკლებ კაპიტალს მოითხოვს, ამავე დროს, იქნება ორიგინალური და პრაქტიკული გარემო. ჯერ მეტს ვერაფერს გეტყვით, შესაბამისი პროცედურება გასავლელი*“- გვითხრა **კონსტანტინე შარაშენიძემ.**



# ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების საჯარო განხილვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

**ალიონი.** 19 დეკემბერს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (**NDI**) საჯაროდ განიხილა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

სხდომას უძღვებოდა **NDI**-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის კოორდინატორი **თამარ გზირიშვილი.**

შედგა პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია. მომხსენებელმა **თამარ ღლონტმა** წარმოადგინა ხსენებული არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტი, ფოკუს ჯგუფის კვლევების შედეგების ანალიზისას, ყურადღება გაამახვილა მოქალაქეთა ჩართულობაზე.

კითხვა-პასუხის რეჟიმით გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელმა საჯარო მოხელეებმა.

დაინტერესებულმა მხარეებმა შეიმუშავეს ერთიანი სამომავლო გეგმა.





ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სერვისცენტრი გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და გისურვებთ წარმატებებს!

თენგიზ ქუტიძე,
ა(ა) იპ „ოზურგეთის სერვისცენტრის“ დირექტორი.


# ოზურგეთელი ქალი დეპუტატების წამოწყება მეწარმეობის ხელშეწყობისთვის

რობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

**ზურაბ ნასარაია,** გურიის გუბერნატორი: –„ინდა მადლიერება გამოვხატო საკრებულოს წევრებისა და ფორუმის ორგანიზატორების მიმართ ამ ღონისძიების მოწყობისთვის. მიუხედავად მრავალი წინგადადგმული ნაბიჯისა, გურიის რეგიონში სოციალური ფონი ჯერ კიდევ დაბალია და მსგავს საკითხებზე პროექტის განხორციელება ჩვენთვის კიდევ მეტად მნიშვნელოვანია. ქალების ჩართვა ბიზნეს საქმიანობაში განაპირობებს მათ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, გახდის უფრო ქმედითს და აქტიურს. ასევე, მათ აუმაღლებს მოტივაციას, რათა შეიძინონ ახალი უნარები, გაზრდის მათ უფლებამოსილებას და მეორეს მხრივ, გენდერულ პოლიტიკაში პროექტის განხორციელება უფრო დიდ როლს შეასრულებს.“

**დავით მელუა,** თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი: „როდესაც ვსაუბრობთ ქალთა როლის გაზიარებაზე და თანასწორობაზე, ჩვენ ახალს არაფერს ვიგონებთ. ჩვენ ვუბრუნდებით ქვეყნის ისტორიულ საწყისებს, რადგან ქალთა როლი საქართველოს ისტორიაში ყოველთვის იყო გამოკვეთილი, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური კუთხით. შესაბამისად ყველა ეს ინიციატივა ჩვენთვის ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, არის თანამედროვე დემოკრატიულ გამ-ოწვევებზე რეაგირება და ამავდროულად გახლავთ ჩვენი კულტურისა და თვითმყოფადობის ფესვებისადმი დაბრუნება. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას აქვს რამდენიმე საინტერესო პროგრამა და მინდა აღვნიშნო, რომ მუნიციპალიტეტების ჩართუ-ლობა ყოველთვის მხარდაჭერილი იქნება, როგორც ორგანიზაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობის, ასევე ასოციაციის აპარატის მხრიდან.“



ღონისძიების დასასრულს, დაფუძნდა პლატფორმა „ქალები გურიისთვის“ **მარიკა ჩხიკვიშვილის, ხათუნა ცერცვაძის, ქეთევან ვასაძის, ლიკა ღლონტისა და ნათია ზედგინიძის** მიერ. როგორც დამფუძნებლები ამბობენ, „პლატფორმა ქალების გაძლიერებითა და ჩართულობით, გურიის რეგიონში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას შეუწყობს ხელს“.

პროექტი „მეწარმე ქალთა ბიზნეს ფორუმი“ გურიის რეგიონის მასშტაბით, მცირე და საშუალო ბიზნესში, ფინანსებზე წვდომის ხელშეწყობას, ერთიანი ქსელის შექმნას და რეგიონში მცხოვრები ქალებისთვის, ბიზნესის დაფინანსების, რეგულაციებისა და სიახლეების შესახებ მუდმივად განახლებული ინფორმაციის მიწოდებას ისახავს მიზნად. პროექტის ფარგლებში მეწარმე ქალებისთვის იგეგმება ტრენინგების ჩატარება, ასევე გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით გაიცემა მცირე გრანტები.

მეწარმე ქალთა ფორუმი დაფინანსდა ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა და ნორვეგიის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა ასოციაციის თანამშრომლობის ფარგლებში.


შპს „ამბაზი-3“ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!



მის. ქ. ოზურგეთი, გოგებაშვილის ქ. №2 (ფოსტის შენობა, მე-2 სართული)


# ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ორგანიზებით, საკრებულოს წევრთათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის კონგრესი გაიმართა

ღონისძიება პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის ზაზა გაბუნიას მისასალმებელი სიტყვით გაიხსნა.

„ჩვენ გვჭირდება თანმიმდ-ევრულობა და უწყვეტობა რეფორმების გზაზე. გვჭირდება დეცენტრალიზაციის რეფორმა და ამისთვის მზადყოფნა სრულად იქნა გამოხატული პარლამენტის და მთავრობის მხრიდან სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგის გენერალურ ფორუმზე, რომელსაც რამდენიმე დღის წინ საქა-რთველოს პარლამენტმა უმას-პინძლა. დეცენტრალიზაციის რეფორმა არის შესაძლებლობა უფრო უკეთ ვუპასუხოთ ხა-ლხის ინტერესებს და უზ-რუნველყოთ რეგიონების თანა-ბარი განვითარება.” – აღნიშნა **ზაზა გაბუნიამ.**

კონგრესის მონაწილეებს ასევე სიტყვით მიმართეს სა-ერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის დირექტორმა ჯონ დიპირომ და აშშ-ის ელჩის მოადგილემ ჯეფრი რენომ. საკრებულოს წევრთა კონგრესს პარლამენტის წევრები, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინის-ტროს წარმომადგენლები, გუბერნატორები, საკრებულოს წევრები და თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები დაესწრნენ.

„აღნიშნული კონგრესის მიზანია ხელი შეუწყოს დია--ლოგს ადგილობრივ თვითმ-მართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. შე-ხვედრაზე ვისაუბრეთ დეცენტრალიზაციის რეფორმაზე, მუნიციპალიტეტების განვი-თარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციების გაძლიერებაზე“ - აღნიშნა გურიის გუბერნატორმა, **ზურაბ ნასარაიამ.**


„ენერგო პრო - ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრი გილოცავთ დამდეგ შობა ახალ-წელს!




# ოზურგეთის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს საჩუქრები გადასცეს



სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინიციატივით და მაღაზიათა ქსელ „ჭიტას“ ორგანიზებით, ოზურგეთში 15 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს საჩუქრები გადასცეს.

გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია,** მოადგილესთან **ქეთევან მოისწრაფეშვილთან,** „ჭიტას" დირექტორთან **ხათუნა ჩხიკვაძესთან**, ოზურგეთის მერის მოადგილესთან **ირაკლი სირაძესთან** და „სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის" დირექტორთან **მაკა ჭყონიასათან** ერთად, ოზურგეთის სოფლებში საბავშვო ბაღებში იმყოფებოდა.

# სურსათის ეროვნული სააგენტო და FAO მოსახლეობას მოუწოდებენ, თავი შეიკავონ საეჭვო ადგილებში ხორცის შეძენისაგან

ახალი წლის დღეებში ხორც-პროდუქტების მოხმარება იმატებს. გაზრდილი მოთხოვნის ფონზე, ხშირად ხორცის რეალიზება ხდება არაკეთილსაიმედო გარემოში, სადაც არ არის დაცული შენახვის პირობები; უცნობია ხორცის წარმომავლობა, საქონლის დაკვლის ადგილი.

სურსათის ეროვნული სააგენტო და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) მოსახლეობას მოუწოდებენ, თავი შეიკავონ ხორცისა და ხორც-პროდუქტების შეძენისაგან ისეთ ადგილებში, სადაც არ არის დაცული ჰიგიენური ნორმები და ხორცის შენახვის პირობები.

საქონლის ხორცის შეძენისას მომხმარებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს რიგ გარემოებებს: ხორცი უნდა ინახებოდეს სუფთა, დახურულ მაცივარში, შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით, რომელიც განსაზღვრულია 2-დან 6-გრადუსამდე, ხოლო, შენახვის ვადაა 48 საათი.

გაუფრთხილდით თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების ჯანმრთელობას და საეჭვო შემთხვევების გამოვლენისას გთხოვთ, დარეკოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე: 15 01.


გამოიწერეთ გაზეთი
„ალიონი“
ერთ წლით – 30 ლარი
6 თვით – 15 ლარი
3 თვით – 7.50 ლარი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და ისტორიული მუზეუმის ერთობლივი პროექტის „მე ვიცი ჩემი ქალაქის ისტორია“ გამარჯვებული

# მე ვიცი ჩემი ქალაქის ისტორია“





## ოზურგეთი

ოზურგეთი, გურიის ისტორიულად ჩამოყალიბებული ცენტრი, გურიის ყოფილი სამთავროს ძირითადი რეზიდენცია.

დედა საქართველოსი, ბევრის მნახველი და გადამტანი ქართველი ერის ყველა უბედურებისა თუ სიხარულის მონაწილე, მრავალი სახელოვანი მამულიშვილის აღმზრდელი კუთხე.

მისი გეოგრაფიული მდებარეობა მოხსენიებულია ძველ ქართულ წერილობით წყაროებში.

ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ოზურგეთს არს სასახლე დიდშენი და კეთილ-პალატოვანი გურიელისა.“ ერთი საუკუნით ადრე ოზურგეთს ქაიხოსრო გურიელი თავის სიგელში იხსენიებს.

1854 წელს თავის ერთ-ერთ ნაშრომში ოზურგეთს იხსენიებს კარლ მარქსი, როგორც რუსეთ-თურქეთის საომარ მოქმედებათა რაიონის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცენტრი.

## ოზურგეთის გეოგრაფიული მდებარეობა

ოზურგეთი, როგორც გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება, გამომდინარეობს მისი რელიეფური მდებარეობიდან და და ნიშნავს ორ ზურგს შორის მდებარე ტერიტორიას. ჩრდილოეთით ასეთი ზურგი არის მოიდანახის, სამხრეთით კი სერის გორაკები.

ე.ი. „ორზურგეთი“, რაც შემდეგ „ოზურგეთად“ ჩამოყალიბდა.

***უდიდესი სიყვარულით აღწერდა მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია ჩვენს ქალაქს, ამბობდა:***

„აჰა ესეც, კოპწია გურიის დედაქალაქიცა!

ადამიანის ყურადღებას იპყრობს თავდაპირველად უხვი მწვანე სამოსელი, რომელშიაც გახვეულია ოზურგეთი.

ასე ბრძანებთ, შეცდომით ტყეში შევედი, სადაც შეცდომითვე სახლებია აშენებულიო.“

## ქალაქის ოფიციალური სტატუსის შესახებ

ქალაქის ოფიციალური სტატუსი ოზურგეთმა 1846 წელს მიიღო, როცა რუსეთის მთავრობამ ამიერკავკასიის ხელმეორე ადმინისტრაციული დაყოფა მოახდინა. ახალი დაყოფით ოზურგეთის მაზრა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა და იგი სამაზრო ქალაქი გახდა.

ახალი საუკუნის დაწყებამ რევოლუციები გამოიწვია, რომლის ქარცეცხლმა ოზურგეთსაც გადაუარა. იმდროინდელ საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული წესის მიხედვით, როცა ქალაქებს, სოფლებსა და დაბებს რევოლუციონერთა სახლებს არქმევდნენ, 1934 წელს ოზურგეთს სახელი შეეცვალა და მახარაძე ეწოდა.

ასე იწოდებოდა ქალაქი 55 წლის განმავლობაში, 1989 წელს კი როცა ქვეყანაში განახლების სიომ დაუბერა და ღირებულებათა გადაფასება დაიწყო, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ მახარაძისა და მახარაძის რაიონისთვის ძველი, ისტორიული სახელწოდების დაბრუნების შესახებ.

ოზურგეთი ისევ ოზურგეთი გახდა.

## დონ კრისტოფორო დე კასტელი

აღსანიშნავია იტალიელი მისიონერის დონ კრისტოფორო დე კასტელის ვიზიტი გურიაში, რომელიც 1634 წელს განხორციელდა.

ჩვენამდე მოღწეულია მისი ჩანახატები: მამია III გურიელი, სიმონ II გურიელი და მხატვარი ქალი როდია მიქელაძე, ჩონგურზე დამკვრელი გურიიდან და ქადაგება გურიაში

## მარი-ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე

1831-1834 წლებში გურიას, კერძოდ ოზურგეთს, შვეიცარიელი მოგზაური დიებუა დე მონპერე ესტუმრა.

მსგავსად კასტელისა, მონპერემაც დაგვიტოვა ჩანახატები.

ესენია: გურიელი ერისთავების სასახლე, შეკვეთილის წმ. ნიკოლოზის სახელობის პორტი, ოზურგეთის ხედი ექადიიდან, შემოქმედის მონასტერი, ასკანის ციხე და გურული გლეხის კარმიდამო.

## ოზურგეთის პირველი საშუალო სკოლა

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ოზურგეთში დაარსდა სასწავლებელი, რომელიც ერთ-ერთი უძველესთაგანია საქართველოში. იგი იყო პირველი სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულება გურიის სინამდვილეში.

ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულმა ბევრმა ახალგაზრდამ შემდგომ თავისი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ქართველი ხალხის ცხოვრებას. ზოგიერთი მათგანის სახელი საზღვრებს გარეთაც არის ცნობილი (ეგნატე ნინოშვილი, ფილიპე მახარაძე, კონსტანტინე ლესელიძე, პორფილე ჩანჩიბაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ვიქტორ ლესელიძე, ფილიმონ ქორიძე...).

## ოზურგეთის სტამბა

ოზურგეთელები ოდითგანვე გამოირჩეოდნენ წიგნის დიდი სიყვარულით. ჯერ კიდევ 1890 წელს ოზურგეთის სტამბაში ორჯერ დაბეჭდილა „ვეფხისტყაოსანი“.

ინგლისური ქართველოლოგიის ფუძემდებელი მარჯორი უორდროპი 1895 წელს წერს: „ქალაქი პატარაა, ძლივს აღემატება დიდ სოფელს, მისი მკვიდრნი დიდ ინტერესს იჩენენ ლიტერატურისადმი, აქვთ თავიანთი სტამბა და მრავალ საყურადღებო წიგნს აქვეყნებენ.“

## II მსოფლიო ომის გმირი ოზურგეთელები

დიდ სამამულო ომში ექვსმა ოზურგეთელმა დაიმსახურა გმირის წოდება, ესენი იყვნენ: ***<u>პორფილე ჩანჩიბაძე, სერგო ჩხაიძე, კონსტანტინე ლესელიძე, ვიქტორ ლესელიძე, ელისე ტულუში და ვასილ კვაჭანტირაძე.</u>***

## გერასიმე მახარაძე

ქართველი პოლიტიკოსი ოზურგეთიდან, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, დამფუძნებელი კრების წევრი. ის იყო ერთ-ერთი იმ პიროვნებათაგან, ვინც ხელი მოაწერა საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტს.

## ოზურგეთის აბანოები

ქალაქ ოზურგეთში ძველი ნაგებობის ნაშთები 1957 წელს აღმოაჩინეს, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე რესტორან „იზაბელას“ მშენებლობის დროს.

აბანოთა სრული შესწავლა არ მომხდარა, თუმცა მას მიაკუთვნებენ გვიან ანტიკურ ან ადრეულ ფეოდალურ ხანას.

ნაშთები კვლავ გამოვლინდა 2012 წელს იუსტიციის სახლის მშენებლობისას.

შესაძლოა ნაშთები ეკუთვნოდეს დებუა დე მონპერეს მიერ XIX საუკუნეში აღ-წერილ გურიელების აბანოს. აღნიშნული აბანო მოიხსენება თედო სახოკიასა და ვახუშტი ბატონიშვილის მიერაც.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

გიორგი ხოხლენკო - **“პირველი საშუალო სკოლა“** თედო სახოკია - **„მოგზაურობანი“** ენვერ გოგუაძე - **“ძველი ოზურგეთი“** თენგიზ კუნჭულია - **„ქალაქი და ტრადიციები“** ქველი ჩხატარაიშვილი - **„გურიის სამთა-ვროს შეერთება** რუსეთთან“

**ირინა ქავჟარაძე,**
**გურამ გოლიაძე,**
მე–4 საჯარო სკოლის მოსწავლეები

# ბაილეთელი მამულაიშვილები

ბაილეთი ერთ-ერთი ლამაზი სოფელია გურიაში არა მარტო მისი მომხიბლველი მთა-ბარითა და მშვენიერი ველ-მინდვრებით, არამედ მრავალი პოპულარული გვარითაც, რომლებიც ნაკლებად არის ცნობილი საზოგადოებისათვის.

ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ მამულაიშვილების გვარი და პირადად ბატონი ნიკო მამულაიშვილი.

ბატონ ნიკოს პარიზში ჰქონდა მიღებული სასოფლო-სამეურნეო განათლება და გარკვეულ პერიოდში იქვე ეწეოდა შრომით საქმიანობას, გამოჰყავდა სხვადასხვა ჯიშის მცენარეები. შემდეგ მშობლიურ სოფელში განაგრძო თავისი საქმიანობა. სამწუხაროდ, მისი გარდაცვალების შემდეგ, მის მიერ გაშენებულ მცენარეებს ვერ მოუარეს.

ბატონი ნიკო იყო თავადი, ფლობდა რამდენიმე ჰექტარ მიწას და საჭიროებისამებრ გადასცემდა მას მოსახლეობას. ე, წ. „ტობის კარში“ 20 ჰექტარ მიწას დღესაც „მამულაიშვილების მერეს“ ეძახიან.

დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა ბატონი ნიკოს ქალიშვილი, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იასე რაჭველი-მეხუზლას მეუღლე, ქალბატონი ცაფია მამულაიშვილი, რომელიც, მეუღლესთან ერთად, ხშირად გამოდიოდა მოსახლეობაში მგზნებარე სიტყვებით, იბრძოდა მათი განათლების დონის ამაღლებისა და უკეთესი მომავლისათვის.

ჩვენი ხალხის გათვითცნობიერების საკითხში უდიდესი დამსახურება მიუძღვის პოეტსა და სახელმწიფო მოღვაწეს ლიდია მამულაიშვილ-მეგრელიძეს, რომელიც 1883 წელს დაბადებულა ბაილეთში. იგი იყო ცნობილი მომღერლისა და ლოტბარის, ბატონი აქსენტი მეგრელიძის მეუღლე, ვისთან ერთადაც მღეროდა სხვადასხვა ანსამბლში. და მაინც, მისი გატაცება პოეზია ყოფილა. ამ მხრივ, პირველად სოფელ ბაილეთში აუდგამს ფეხი, პირველი ლექსიც აქ შეუქმნია, აი, ისიც:

*„აღტაცებული გონებით*
*გავხედე მღელვარ სუფსასა,*
*შორს გამიტაცა ბუნებამ,*
*გული მოსთქვამდა სულ სხვასა.*
*ნელა მოღელავს ეს წყალი,*
*ხან მღვრიე, ხან ელვარეა,*
*თითქოს დაღლილა მგზავრობით,*
*ბურდღულებს, მთლად გურულია*
*და ჩემი გული მასსავით*
*ნისლებრივ დაბურულია.“*

მამულაიშვილების საგვარეულოდან არ შეიძლება არ დავასახელოთ ბატონი კოტე მამულაიშვილი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი. იგი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს უფროსის მოადგილედ. განსაკუთრებულ დახმარებას უწევდა ჩვენი სოფლიდან თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ ახალგაზრდებს.

ბაილეთში დაიბადა და აღიზარდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნოე მამულაიშვილი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებოდა მაღალმთიან აჭარაში ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. იყო სხვადასხვა საშუალო სკოლის დირექტორი. ბოლოს, ოზურგეთში გადმოვიდა და მთელი მონდომებით მუშაობდა ლაითურის მეურნეობის დირექტორის მოადგილედ.

მომავალი თაობის აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვის ქალბატონ ფლორენცია მამულაიშვილს, რომელიც მრავალი წელი დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი იყო. დედაშვილური სიყვარულით ექცეოდა პატარებს. მას დღესაც პატივისცემით იგონებენ მისი და შემდგომი თაობის ბაილეთელები.

აუცილებლად უნდა გავიხსენოთ და-ძმა ნორა და მიტო მამულაიშვილები, რომლებიც ბაილეთში დაიბადნენ და აღიზარდნენ. შემდეგ, წლების განმავლობაში მოღვაწეობდნენ აჭარაში: ქალბატონი ნორა — გაზეთ „აჭ-არის“ რედაქციაში, ხოლო ბატონი მიტო — ერთ-ერთ საშუალო სკოლაში, დირექტორად. ქალბატონ ნორას მინიჭებული ჰქონდა „აჭარის კულტურის დამსახურებული მუშაკის“, ხოლო მიტოს „აჭარის დამსახურებული მასწავლებლის“ წოდებები. ცალკე აღნიშვნის ღირსია ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ ცნობილი საზოგადოებრივი მუშაკის, მომღერლის, აწ გარდაცვლილი ნონა მა-მულაიშვილის საქმიანობა. ბაილეთელები მას დიდი სიყვარულითა და ცრემლებით იგონებენ.

მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ თავიანთი მოვალეობების შესრულებას რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომები ვლადიმერ და ილია მამულაიშვილები, რომლებიც მრავალი წელი ხელმძღვანელ სამუშაოებზე მოღვაწეობდნენ რაიონში.

ასევე თბილად უნდა მოვიგონოთ ინჟინერ-მშენებელი ბატონი კუკური მამულაიშვილი, რომელმაც მრავალი საყოფაცხოვრებო და საწარმოო დანიშნულების ობიექტები აშენა ოზურგეთის, სამტრედიისა და ზუგდიდის რაიონებში.

მამულაიშვილების საგვარეულოს წარმომადგენლები დღესაც აქტიურად მუშაობენ და მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქალბატონ ოფელია მამულაიშვილს. იგი დღეს 92 წლისაა და თავს მაინც ატანს ძალას, ეხმარება შვილებს საოჯახო საქმეებში.

აღსანიშნავია, რომ მან 60 წელზე მეტი დაჰყო სხვადასხვა სამუშაოზე — იყო ბაილეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი, მუშაობდა ოზურგეთის რაისამრეწველო კომბინატში, საქალაქო საბჭოს აღმასკომში, მრავალჯერ იყო არჩეული საქალაქო საბჭოს დეპუტატად, სახალხო მსაჯულად და ყველგან კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას.

წლების მანძილზე წარმატებით მოღვაწეობს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ქალბატონი იზოლდა მამულაიშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელსაც მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფია აქვს გამოქვეყნებული სოფლის მეურნეობის განვითარების სხვადასხვა საკითხზე.

გარკვეულ საქმიანობას ეწევა იზოლდას ძმა, ბიზნესმენი, ბატონი თემურ მამულაიშვილი.

ასევე წარმატებული ბიზნესმენია ბათუმში მოღვაწე სოსო მამულაიშვილი.

აღსანიშნავია ბატონი მერაბ მამულაიშვილის საქმიანობაც. იგი მრავალი წელია საარჩევნო კომისიას ხელმძღვანელობს და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას.

სოფელი უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით არის განმსჭვალული ბატონი სპარტაკ მამულაიშვილის მიმართ, რომელიც 20 წელს ხელმძღვანელობდა ბაილეთს.

და ბოლოს, მინდა შევჩერდე არა მხოლოდ მამულაიშვილების, არამედ მთელი სოფლის უსაყვარლეს კაცზე, სოფლის დიდ ჭირისუფალსა და ნამდვილ მამულიშვილზე, ბატონ ამირან მამულაიშვილზე, რომელსაც სოფელმა „კაცობის პრეზიდენტი“ შეარქვა.

ბატონმა ამირანმა 50 წელი მუხლჩაუხრელად, შეუსვენებლად და შეუ-დარებლად იღვაწა თავის სოფელში. მუშაობდა სოფლის კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების მდივნად, პროფკავშირის კომიტეტის განთავისუფლებულ თავმჯდომარედ, უფროს აგრონომად, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ, დიდხანს ასრულებდა თავმჯდომარის მოვალეობასაც. მუდამ ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოეტანა თავისი სოფლისა და ხალხისათვის. ასწავლიდა მათ და სწავლობდა მათგან.

იგი ამჟამად 86 წლისაა და აქტიურ სადამრიგებლო მუშაობას ეწევა, არის სოფლის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.

ბატონი ამირანის ცხოვრების კრედოა დიდი ილიას სიტყვები: „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველდღე რომ შენს თავს ჰკითხო, აბა, დღეს მე ვის რა ვარგე“.

რამდენადაც ვიცი, ბატონ ამირან მამულაიშვილზე გაზეთი „ალიონი“ ნარკვევს ამზადებს. ამდენად, თავს უფლება მივეცი, მოკლედ, მეთქვა მასზე ჩემი სათქმელი.

სოფელი ბაილეთი ყოველთვის უდიდესი პატივისცემით იგონებს ამ წერილში მოხსენიებულ აწ გარდაცვლილ ადამიანებს, მათ კი, ვინც დღეს ჩვენს გვერდით არიან, დიდხანს სიცოცხლესა და წარმატებებს უსურვებს თავიანთი ოჯახების, სოფლისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**გუგული ჩხაიძე,**
სახალხო განათლების წარჩინებული.

## ძველი ოზურგეთის ქრონიკები

# კალანდა და მასთან დაკავშირებული რიტუალები



ღვეძლის ცხობა შობის წინა საღამოს

გურიაში კალანდისათვის მზადება ქრისტეშობის (დეკემბერი) დადგომის პირველი დღეებიდან იწყება. ამას ეთნოგრაფი აპოლონ წულაძე შემდეგნაირად აღწერს: ,,... გურულს ყველა დღესასწაული უყვარს, მაგრამ კალანდას და აღდგომას არაფერი ურჩევნია... ბარბარობამდე ორი-სამი დღით ადრე მეოჯახე კაცი ტყეში მიდის, მოჭრის ველური თხილის წმინდა წნელს, მოიტანს სახლში მოღობავს ძარას, ანუ სასუქს... ,,ბარბარობა‘‘ ქათმების პატარა დღეობაა. ამ დროს მეოჯახე ქალი ქათმების დაპურებისას დაიჭერს წინათვე დანიშნულ ქათმებს, აარჩევს ბებერს, ნაკლებ კვერცხის მდებელს, ცუდ ,,მკეკელს‘‘, ფრთხუს, უვარგისს მოჭვას ისეთს, რომელიც და სადგამურად არ გამოდგება. აგრეთვე ყვერულს, რომელიც, საგანგებოდ ,საკაიდღეოდ ჰყავს გამოზრდილი. ბარბარობიდან ერთი კვირის შემდეგ განსაკუთრებულ ადგილას, საგანგებო სამწყვდევში ჩასვამენ ღორს, ქათმებიც და ღორიც სასუქში უნდა ყოფილიყო. ოჯახის ყველა წევრი ცდილობდა



ჭურის პირის ,,ახაზვა‘‘: ოჯახის უფროსი არტემ ნაცვალაძე მეუღლესთან ერთად მიდის სავსე ჭურის პირთან. დანის წვერით ღვინოში ავლებს ჯვარს. იქვეა გაწყობილი სუფრა. ,,ახაზვის‘‘ შემდეგ ქვევრიდან ღვინოს ამოიღებენ და იქვე შეექცევიან სადილს.. სოფელი გვაბრათი (ასკანა), 1940 წელი.

სხვებისათვის დაესწრო და სასუქში მყოფთათვის ,,კეკალი‘‘ დაეყარა, წყალიც დაესხა, თან ეთქვა :‘‘სუქ, სუქ, სუქ‘‘. ღორი პირველ დღეებში პატივს იფერებს, ხარბად ჭამს, სიმინდის დაყრის დროს,როთინით ხვდება, შემდეგ კი, როცა სიმსუქნე ძლევს ,საჭმლით გულს ,,იმსუყებს‘‘, ზარმაცობა ეპარება, უხალისობა ეტყობა, წვება და ნებივრობას იწყებს‘‘ (აპოლონ წულაძე ,,ეთნოგრაფიული გურია‘‘.გვ.68-69).

გურიაში, ისევე, როგორც სა-ქართველოს სხვა კუთხეებში საახალწლო რიტუალში სამი რამ აუცილებელი იყო: სიცოცხლის ხე, ღორის თავი და ბასილა — წარმართობის დროინდელი ნაყოფიერების სიმბოლო, ქრისტ-იანობაში-წმინდა ბასილი. სიცოცხლის ხე იმიტომ, რომ კერა, სახლი ქართველ კაცს სიცოცხლის სიმბოლოდ, ადამანის ზეცასთან შემაკავშირებლად ესახებოდა, რომელსაც განასახიერებდა ჩიჩილაკი, ღორის თავი — ღორი წმინდა ცხოველად იყო აღიარებული და მისი ჭამა აკრძალული იყო. გადმოცემით, მხოლოდ ერთხელ, ახალი წლის სუფრის დასამშვენებლად გაიმეტებდნენ, ამასთან, როგორც წმინდა ცხოველს, ღმერთებს და ღვთაებებს სწირავდნენ ზამთრის პერიოდში, რაც შობა-ახალ წელს ემხვეოდა. (ღორის დაკვლას ჩვენი წინაპრები ასეთ თქმულებას უკავშირებდნენ: ერთხელ წმინდა ბასილი სწირავდა თურმე და მის წინ ღორს გადაურბენია. ღორს მუცელში ეშმაკი ჰყავდა და მისი ხორციც არ იჭმეოდა, წმინდა ბასილი ჯვრით ხელში გასდევნებია და როცა ღორი წყალში უნდა გადამხტარიყო, კუდზე ფეხი დაუბიჯებია. იმავე წამს ღორიდან ეშმაკი გადმომხტარა და წყალში გადავარდნილა. ბასილმა ღორი აკურთხა და ქრისტიანეთ ამის შემდგომ საჭმელად დაუწესა.

### ცხემლის ჭრა

ახალწლის (კალანდის) წინა დღეს ცხემლისჭრა საღამო ეწოდებოდა ამ დღეს ოჯახის უფროსი მამაკაცი წავიდოდა ტყეში და ცხემლის შეშას დაამზადებდა. უძველესი დროიდან ოჯახში ცეცხლის ჩაქრობა დიდ უბედურებად ითვლებოდა .ცეცხლი საცხოვრებელი სახლის შუა ადგილას იყო გაჩაღებული, რათა შესაძლებლობა ჰქონოდათ. ოჯახის ყველა წევრი შემოსხდომოდა ირგვლივ და გამთბარიყვნენ. გურიაში სამზად სახლში დღესაც ანთია შუა ცეცხლი კერიით. კერია(კერა) წარმოადგენდა მოგრძო ქვას ,რომელსაც შეშას დააყრიან, თავებს კერიაზე ჩამოუდებენ .ასეთ შემთხვევაში შეშას ცეცხლი უფრო კარგად ეკიდება. ცეცხლის გაქრობა და კერის გაციება დიდ უბედურებად ითვლებოდა. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცეცხლის გატანას (გაუქრობლად შენახვას), მტკიცდებოდა შელოცვით,რომელსაც გურიაში მიმართავდნენ, საღამოობით, დაწოლის წინ ხის მუგუზალს შეახვევდნენ ნაღვერდალში-ცეცხლს დაახვეტენ, რომელსაც შემნახველი შემდეგი სიტყვებით შეულოცავდა:

,,ცეცხლო ელოდე-მელოდე.
მე მელოდე, მზეს ელოდე,
მთვარეს ეთაყვანებოდე,
დილით ადრე ავდგებოდე,
დოხჩაური დამხვდებოდე‘‘.

დოხჩაური-ხალხური გაგებით დიდი ანუ გაღვივებული ცეცხლია. ცნობილია, რომ ცხემლის შეშას ცეცხლი უფრო მაგრად ეკიდება, ვიდრე თხემლის ან სხვა მცენარის ხმელ შეშას. მას ღვთებრივ მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ. რატომ ირჩევდნენ ცხემლას?

82 წლის ნოდარ თალაკვაძე გვიამბობს: ,,ჩემს სოფელ ვანისქედში ,,ცხემლისჭრა საღამოს ვუძახოდით. ძველით ახალი წელიწადი, რომ დგება, ახლაც ვჭრი ცხემლას, ვდობ ბუხარში და ვაგუზგუზებ. ჩემს ბავშვობაში აიღებდნენ ცხემლის ნიგუზალს. ურტყამდნენ ერთმანეთს, ნაპერწკალი რომ დასცვივოდა, ზედ აყოლებდნენ: ღმერთო, ამდენი და ამდენი ღორი, ძროხა, ქათამი მოგვეციო. ცხემლა მაგარგულიანი ხეა, კაი ნაკვერჩხალი იცის, ვინახავდით დილისათვის და ვუმღეროდით... ცეცხლო ელოდე მელოდე, მთვარეს ელოდე, მზეს ელოდე‘‘... (ჩაწერილია 2004 წელს).

საინტერესოა ისიც, რომ ცხემლის ჭრა დილით სასუქში ჩაყრილ ფრინველებსა და საახალწლო ღორს დაკლავდნენ.ცხემლის ჭრა დღის ვახშამს კი ამზადებდნენ ქათმის კუჭ-ფილტვისა და და თავ-ფეხისაგან, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, თქმულებაც კი არსებობდა: ,,ახალი წლის სადილს შეველევი და ცხემლის ჭრის ვახშამს კი ვერაო‘‘. ცხემლისჭრადღეს უნდა მოემზადებინათ საახალწლო დალოცვისათვის საჭირო ჩიჩილაკი. საახალწლო გასალოც ელემენტებს შორის ჩიჩილაკს განსაკუთრებული და შეუცვლელი ადგილი ეჭირა, ჩიჩილაკი ნედლი ხის ნაწარმია, რომელზედაც შეთლილია დახუჭუჭებული მერქნის გრძელი თხელი ანათათალები.

### ჩიჩილაკის ახდა

ჩიჩილაკის დამზადება ხდებოდა თხილის, წაბლის ან ლელვის ახალმოჭრილი ღეროებისაგან. აღნიშნულ ღეროებს მოთუთქავდნენ, (გაავლევდნენ) ნაღვერდალში, გააცლიდნენ კანს და შემდეგ ძირიდან ზევით ათლიდნენ მერქნის თხელ ერთი მილიმეტრის სისქის ღეროებს, ეს ღეროები კულულებად უნდა ყოფილიყო დახვეული. დასადგმელად გაუკეთებდნენ სამ ფეხს, წვეროში კი- ქოჩორს. გურიაში წინათ იშვიათად იყო ოჯახი, სადაც არ იცოდნენ ჩიჩილაკის ახდა.

საკალანდო რიტუალის დროს, დასავლეთ საქართველოში, გურიასა და სამეგრელოში ჩიჩილაკი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი იყო და ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ძველი ხალხური გადმოცემით, ჩიჩილაკი მზეს წარმოადგენდა და მის ქვემოთ დაშვებული კულულა მზის სხივების სიმბოლოებია. დაამთავრებდნენ თუ არა ჩიჩილაკის ახდას, შეუდგებოდნენ მის მორთვას, კურკანტელით, სუროს ყლორტებით, საზამთროდ დაჩამიჩებული ყურძნის აკიდოებით, ჩურჩხელებით, ბროწეულით, პატარა ყველიანი პურით და სხვა.

### გასალოცი გობი

ჩიჩილაკის შემდეგ დიდი მნიშვნელობა გასალოც გობს, ანუ ხონჩას, რომელზედაც დალაგებ ული უნდა ყოფილიყო ე.წ. დედოპური - ახალი წლისათვის სპეციალურად გამომცხვარი დიდი ყველიანი ხაჭაპური. დედო პურში ყველთან ერთად ჩასდებ დნენ ვერცხლის სუფთა მანეთიანს ან ათ შაურს, რის შემდეგ ყველს გაიყვანდნენ (გაასწორებდნენ ცომში), დედოპურს გაჭრიდნენ ახალი წლის სადილამდე იმდენ თანასწორ ნაწილად, რამდენი სულიც იყო ოჯახში და ვერცხლის ფული ვის ნაჭერშიც აღმოჩნდებოდა, ის ითვლებოდა იღბლიანად. გარდა დედოპურისა, ხონჩაზე უნდა დაედოთ მოხარშული ღორის თავი, ტკბილეული, პატარა თიხის ქოთნით გაცეხვილი ღომი, რომელშიც ჩაფლული იყო მოუხარშავი კვერცხი, გობის კიდეებზე შემოამწკრივებდნენ ოჯახში ჩამოქნილ (დამზადებულ) თაფლის სანთელს, თაფლის სანთელს ამაგრებდნენ ღომიანი ქოთნის კიდეზე. ხონჩის გვერდზე დადგამდნენ ღვინოს პატარა დოქით, რომელსაც თავი გატენილი ჰქონდა სიმინდის ნაქურჩელით.დოქსაც მიმაგრებული ჰქონდა თაფლის სანთელი.

### გალოცვა ანუ ფეცხვა

კალანდა -ახალ წელიწადს დილით გათენებამდე ორი საათით ადრე ოჯახის ყველა წევრი, ხელპირს დაიბანდა, ახალ ტანისამოსში გამოეწყობოდა.

გალოცვას ხელმძღვანელობდა ოჯახის უფროსი მამაკაცი, თუ ასეთი არ იყო, მაშინ ვაჟი, უკიდურეს შემთხვევაში კი ქალი, იმ პირობით, რომ ერთ-ერთი დიასახლისი უნდა დარჩენილიყო სახლში. გალოცვი-სათვის საჭირო იყო ოჯახის სამი სული გასულიყო გარეთ. ერთი დაიჭერდა ხელში ჩიჩილაკს, ერთი გასალოც გობს, ანუ ხონჩას და ერთი ღვინიან ჭარიკას. თუ ოჯახში ორი



ჩიჩილაკის ახდა.

სული იყო, ასეთ შემთხვევაში ჩიჩილაკს პატარა ზომისას აკეთებდნენ, ისე, რომ ერთ კაცს შესაძლებლობა ჰქონოდა, სამივე ნივთი დაეჭირა ხელში. გალოცვა ხდებოდა მარანში, სადაც გაიტანდნენ ზემოთ ჩამოთვლილ ნივთებს და დაალაგებდნენ მიწაზე, მამაკაცი აანთებდა სანთელს, დაიჩოქებდა და შესთხოვდა ღმერთს: ,,ღმერთო, მომეცი კაცთა მშვიდობა, ჯანმრთელობა, კარგად ყოფნა, მხიარულება ოქრო-ვერცხლი უთვალავი, ქათამი, ბატი, იხვი გროდ, უხვი მოსავალი, რქოსანი საქონელი და ღორი ჯოგად, მარანი ღვინით სავსე, ბეღელი პურით და ღომით სავსე, ტყავი ხორცით სავსე, ძვალი ტვინით სავსე, ღენჭოპო (ნაჭუჭი) გულით სავსე. შემდეგ შემოატრიალებს ხონჩას სამჯერ, შეახებს ხონჩაზე დალაგებულ ყველა ნივთს ხელს და წავა სახლისაკენ, როდესაც მიადგება კარს, დაიძახებს: ,,კარი გამიღე‘‘. დიასახლისი შიგნიდან ეკითხება: ,,რა მოგაქვს?‘‘ მამაკაცი პასუხობს: ,,კაცთა მშვიდობა, ჯანმრთელობა‘‘... სამჯერ გაიმეორებს მარანზე წარმოთქმულ სიტყვებს. ამის შემდეგ დიასახლისი ულებს კარებს, ყველანი შევლენ სახლში, ჩიჩილაკს, გობს და ღვინოს დოქით დადგამენ შუა ადგილას, დაიჩოქებენ და ოჯახის ყველა წევრი შესთხოვს ღმერთს, ზემოთ ნათქვამ თხოვნას, შეავლებენ ყველა ნივთს ხელს და ამის შემდეგ მიულოცავენ ერთმანეთს, შესთავაზებენ ტკბილეულს, შემდეგ ოჯახის უფროსი გაისროდა თოფს, ოჯახის წევრები გავიდოდნენ გარეთ, მორიგეობით შემოიტანდნენ ცხემლისჭრა საღამოს დამზადებულ შეშას, როცა ცეცხლი კარგად აგუზგუზდებოდა, ოჯახის უფროსი შეუშუშხუნებდა მუგუზალს, რათა ბევრი ნაკვერჩხალი ავარდნილიყო და შესთხოვდა ღმერთს ლოცვით: ,,ღმერთო, მოგვეცი ....ზემოთ თქმულ ლოცვა-თხოვნას გაიმეორებდნენ სამჯერ,რასაც ცეცხლის გალოცვა ეწოდებოდა. ამის შემდეგ ოჯახის წევრები გაწყობილ სუფრას შემოუსხდებოდნენ.

### ბედობის დღე

ახალი წლის მეორე დღე ბედობის დღედ ითვლებოდა. იგი მომავალი წლის ბედობის, მოსავლის, ბედნიერების და ჯანმრთელი ცხოვრებისადმი მიძღვნილი დღესასწაული იყო. საკალანდო-საახალწლო რიტუალის

▶▶▶ გვ-7

## სულთათანა

# ლოლა ქათამიძე



შარშან ამ დროს, უფრო ზუსტად, 28 დეკემბერს შენი ფუძეძლიერი და დიდი ოჯახის წევრებმა სიყვარულით მოგილოცეს დაბადების დღე. 93 წლის იუბილარი მადლობას უხდიდი შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს ამაგის დაფასებისათვის. სუფრაზე ერთი-ორი შენი საყვარელი სიმღერაც სიამოვნებით წაიღიღინე.

კარგ ქალად გიცნობდნენ მაკვანეთში, იმ შრომით კოლექტივშიც (ოზურგეთის ყოფილი სკოლა-ინტერნატი), სადაც 34 წელი იმუშავე კეთილსინდისიერად.

ყოველთვის დედაშვილური შეხვედრა გქონდა აღზრდილებთან. მე კარგად ვიცი, თუ რა თბილ დამოკიდებულებაში იყავი სამეზობლოსთანაც.

მშვიდად შეხვდი სიკვდილს, რომელმაც სამუდამო ადგილი დაგიმკვიდრა ღირსეული მეუღლის ვარლამ გოლიაძის გვერდით. ეს ხუთი თვის წინ მოხდა.

წახვედი ჩვენგან, მაგრამ ჩვენთან ყოველთვის ახლოს იქნები სასიამოვნო მოგონებებით.

ისევ მოვიდა 28 დეკემბერი. დაბადების დღეს გილოცავთ, ქალბატონო ლოლა.

**გულსუნდა მახარაძე.**

# მარცხი ელანძეა

19 დეკემბერს, ოზურგეთში „ელიტ-ელექტრონიქსის" მაღაზიის წინ, ამ ფირმის საკარნავალო სპეცმანქანის ძარაზე მდგომი, საახალწლო კოსტიუმებში გამოწყობილი რამდენიმე ახალგაზრდა უბედურ შემთხვევას გადაურჩა. რომ არა გარეთ გამოცვენილი „ელიტელექტრონიქსის" თანამშრომლების ყვირილი, მანქანა, რომელიც, ხმამაღალი მუსიკის ფონზე, ქალაქში მორიგ საზეიმო შემოვლას ამთავრებდა თუ იწყებდა, ელექტროსადენს წაედებოდა და არავინ უწყის, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი.

ვიზუალურად ასე ჩანს, რომ ბავშვთა გასართობ ცენტრ „ჭიამაიას" სახურავიდან დენი გადაყვანილია მშენებარე სასტუმრო „გურიაში." შეერთების ადგილი კი შიშვლად არის



დატოვებული ქუჩის ზედაპირიდან არც თუ ისე საიმედო სიმაღლეზე.

კარგია, რომ შენდება, ისიც კარგია, რომ შენებას ხელს ვუწყობთ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, სიფრთხილეს თავი არ სტკივა და მარცხი ელანძეა. შეერთების ადგილის იზოლირება და კაბელის შესაბამის სიმაღლეზე აწევა არ უნდა იყოს ძვირადღირებული და ძნელად შესასრულებელი სამუშაო.

იყიდება შეშა

სოფელი გურიანთა, ციხისფერდი.

მობ: (577) 61 89 41; (551) 00 81 98.

## მადლობა მაჟორიტარ დეპუტატს

ჩემი ვაჟი, ბესარიონ მითაიშვილი 2 წელია ბახვის საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობს. გუნდის მეკარეა და აქვს წარმატებები. ახლახან მათ ქ. თბილისში, „მეგობრობის თასის" ფინალში თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის თანატოლები დაამარცხეს და თასს დაეუფლნენ. (მწვრთნელი გოჩა კრასოტკინი). ტურნირს თვალს ადევნებდა 35-ე საფეხბურთო სკოლის დირექტორი გოჩა ავსაჯანიშვილი მან ბახვის საფეხბურთო სკოლიდან შეარჩია 11 ფეხბურთელი, შრომლებიც ამ სკოლაში გააგრძელებენ სწავლასა და წვრთნას.. მათ შორისაა ჩემი ვაჟი მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს არჩილ თალაკვაძეს, რომელიც დააფინანსებს 3 თვის მანძილზე ჩემი ვაჟის სწავლას და წვრთას თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლაში.

წარმატებულ ახალ წელს ვუსურვებ ბატონ არჩილს!

**თენგიზ მითაიშვილი,**
სოფ. ჯუმათი (ბოგილა).

# სკანვორდი




## № 48-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — სოლომონ დოდაშვილი; ილია მოფერებით — ილა; ბაღი, ბოსტანი — მტილი; ყინულოვანი კონტინენტი — ანტარქტიდა; დაბა ახალციხეში — აწყური; სმენის ორგანო — ყური; დუმბაძის პერსონაჟი — დიდრო; ტბა საქართველოში — ტაბაწყური; მუნიციპალიტეტი სამეგრელოში — აბაშა; არასანდო — უნდო; ყორანის უფსკრული, ანუ... — კრუბერა; მამაკაცის სახელი — არტური; ქალის სახელი — ანი; ადიღეს დედაქალაქი — მაიკოპი; სიგრძის საზომი ერთეული — იარდი; ინგლისელი ფეხბურთელი — რუნი; საოჯახო ნივთი — უთო; შაშის გამომგონებელი — პალადე; ერთგვარი ქსოვილი — დრაფი; მათემატიკური მრუდი — ქორდა; დედმამიშვილი — ძმა; სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში — ნაწელუკუ; მდინარე ვენესუელაში — ჩურუნი; ქართული გვარი — თუთისანი; კავშირი — და; პროვინცია ბელგიაში — ფლანდრია; ეთერი მოფერებით — ეთო; ღვთის სახლი — ეკლესია; ოლქი ესპანეთში — ანდალუსია; დათვის ჯიში — პანდა; მეტროს სადგური თბილისში — ისანი; ძვირფასი მეტალი — ოქრო; ყურანის ცალკეული თავი —სურა; სპირტიანი სასმელი — რომი; ღრეობა — ორგია; ელექტროხელსაწყო — რელე; მწერალი იონა... — მეუნარგია; ნიკოლას კოპოლას ფსევდონიმი — კეიჯი; მოწონება — იფ; სამხედრო ტანსაცმელი — ფარაჯა.

## ძველი ოზურგეთის ქრონიკები

# კალანდა და მასთან დაკავშირებული რიტუალები



აგუნას“ გადაძახება. ოჯახის მამაკაცს ზურგზე „მოკუტურებული“ ჰყავს თავისივე ოჯახის წევრი, პატარა ბიჭი. მიმდგარია საღამოს მარანთან საწნახელზე და სცემს ზედ ღორის თავს. სოფ გვაბრათი (ასკანა), 1941 წელი.

ფოტო 6. ცეცხლის გარშემოვლა. ახალი წელიწადის დილით დალოცვის შემდეგ არტემ ნაცვალაძის ოჯახში: შუა სახლში ანთია ცეცხლი, ოჯახის წევრები დამწკრივებულნი გარს უვლიან სამჯერ. ოჯახის უფროს მამაკაცს ხელში უჭირავს გაწყობილი გობი. ზედ აწყვია: ღორის თავი, გოზინაყი, პური, ვერცხლის ფული. ქათამი, ჯამზე გაცეხვილი ღომია. ღომის შუაგულში უმი კვერცხები, ზედვე აწყვია საზამთრო ხილი და ერთი ამოხვევა აბრეშუმის ძაფი. ყველას ხელში უჭირავს ანთებული სანთელი. სოფელი გვაბრათი (ასკანა) 1941 წელი.

მომზადების დროს, ოჯახის ყველა წევრი ცდილობდა, ახალი, კოხტად შეკერილი და სუფთა ტანსაცმელი ცმოდათ. ყველა მოწოდებული იყო, ეს დღე ცეკვა-თამაშსა და მხიარულებაში გაეტარებინა. ახალ წელს დიდ უბედურებად და საწყენად ითვლებოდა ოჯახში ან სხვაგან სადმე ჩხუბი და აურზაური აეტეხათ ვინმესთან ან პირიქით.

ოჯახის უფროსი ირჩევდა მეკვლეს, როგორც გურიაში იტყოდნენ, „კაიფეხის“(კარგი ფეხის) ადამიანს. ცდილობდნენ, ოჯახიდან არსად წასულიყვნენ და თუ ვინმე მეზობელი ან ნათესავი ისურვებდა „კაიფეხის“ პატრონის სტუმრობას, ასეთ შემთხვევაში მასთან უნდა წასულიყავით კოხტად და სუფთად გამოწყობილი თან მიგეტანათ ტკბილეული, თავი მხიარულ ხასიათზე დაგეყენებიათ, ღვინო და სასმელი ნორმალურად დაგელიათ და უკან დაუგვიანებლად გამობრუნებულიყავით.

ამ დღეს სესხება, გასესხება, ოჯახის ნივთების განათხოვრება, გაწბილება, მოტყუება, დაკარგვა ან გატეხვა არ შეიძლებოდა. ამიტომ, ამ



ცეცხლის გარშემოვლა. ახალი წელიწადის დილით დალოცვის შემდეგ არტემ ნაცვალაძის ოჯახში: შუა სახლში ანთია ცეცხლი, ოჯახის წევრები დამწკრივებულნი გარს უვლიან სამჯერ. ოჯახის უფროს მამაკაცს ხელში უჭირავს გაწყობილი გობი. ზედ აწყვია: ღორის თავი, გოზინაყი, პური, ვერცხლის ფული. ქათამი, ჯამზე გაცეხვილი ღომია. ღომის შუაგულში უმი კვერცხები, ზედვე აწყვია საზამთრო ხილი და ერთი ამოხვევა აბრეშუმის ძაფი. ყველას ხელში უჭირავს ანთებული სანთელი. სოფელი გვაბრათი (ასკანა) 1941 წელი.

დღეს არ ისესხებდნენ რამეს, იქნება იმას, ვისგანაც აპირებდა სესხებას, უარი ეთქვა, დაგაეწბილებინა, მთელ წელს გაწბილებული იქნებოდა, არც გაასესხებდა, ვინაიდან შესაძლებელი იყო დაჰკარგოდა, არც ითხოვდა და არც გაანათხოვრებდა რამეს. გურული გლეხი ირჩევდა ბედობის დღეს თავი დაეჭირა ამგვარი საქმიანობისაგან. ახალ წელიწადს შეუძლო პირები, ავადმყოფიც კი, თუ მას ოდნავ შეეძლო წამოდგომა, ყოველ ღონეს იხმარდა დაღამებამდე მაინც ლოგინში არ ჩაწოლილიყო და თავი არ შეეკონა (შეეკრა).

ახალ წელიწადს ოჯახის უფროსი არიგებდა ოჯახის წევრებს: დილით ადრე ამდგარიყო (პატიჟი არ დასჭირებოდა), ტანზე სწრაფად ჩაეცვა (ტანსაცმელს მიგნებულ ადგილას ინახავდნენ, რათა მეორე დღეს საძებრად არ გახდომოდა), ხელ-პირი დაებანა, საჭმელი ეჭამა, ერთიმეორეში არ ეჩხუბათ და დრო მხიარულებაში გაეტარებინათ. ამ დღეს ოჯახის არც ერთ წევრს დასაქმებაზე უარი არ შეეძლო ეთქვა, ვინაიდან ახალ წელს სასაუბრო ლექსიკონიდან ამოღებული იყო სიტყვები: არ შემიძლია, მე არ ვიზამ, ვერ გავაკეთებ და სხვა. ამ დღეს მშობლები არიგებდნენ შვილებს და სხვა ოჯახის წევრებს, წელში და ბეჭებში გამართული გაიარე, თუ არა (თორემ) მთელი წლის განმავლობაში წელმოტეხილი და დაჩაგრული იქნებიო.

### აგუნა

აგუნა საახალწლო და ღვინის დედის ყურძნის სიუხვის სიმღერაა (აპოლონ წულაძე). მას კალანდას ბინდისას გადაძახების სახით მღეროდნენ. გურულისათვის ყველაზე მეტად „ბედობა“ და „საბრძნილო“ დღე კალანდა-ახალი წელი იყო. ძველად გურული ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კალანდას რასაც „დაიბედებდა“-რასაც კი ისურვებდა, იმითი მთელ წელიწადს მეორე კალანდამდე უზრუნველი იქნებოდა. ამიტომ შუაღამიდან იწყებოდა და მთელი დღე სურვილ-ნატვრით იყო გადაქცეული. ეს გრძელდებოდა ექვსი დღე მაინც-„ნათლისღე-ბამდე“....სურვილების გამოთქმას ოჯახის წევრები იწყებდნენ ალიონზე-დალოცვისას, სადილზე და ბინდისას, აგუნას გადაძახების დროს.

მუდამ სტუმრისა და ჯარიანობის მოყვარული გურული კალანდა დღეს მეზობლებს მოწყდებოდა, ის სასტიკად იცავდა ოჯახის კარჩაკეტილობას, ალბათ, მისი რწმენით, ამით კერძო საკუთრების განმტკიცებას უწყობდა ხელს. კალანდას ყველაფერი ინდივიდუალური -ოჯახური იყო, ნატვრა და სურვილი მხოლოდ და მხოლოდ ოჯახს ეხებოდა - ეზოს არ გაცილდებოდა. გურული მდიდრდებოდა ოჯახის საკეთილდღეო სურვილებით: კაცის სულით, ჯანღონით, ყოველივე „საყოლით“, ხოლო ღვინოს, მარანს, ვაზსა და მის ნაყოფს საღამოსთვის შემოინახავდა. დაბინდებისას ოჯახის მამრობითი წევრები, დიდი და პატარა მარანზე მიიტანდნენ გობს, რომელზეც ეწყო ღორის თავი, სააგუნე ხაჭაპური და ერთი დოქი ღვინო. ოჯახის -უფროსი შუა მარანში, ჭურის თავზე გობს დადგამდა. „სამ ღერ“ შინ ჩამოქნილ წმინდა სანთელს (სიგრძით“-6-8 სმ) გობის სხვადასხვა კუთხეში სიმეტრიულად მიამაგრებდა და „მოუკიდებდა“. გობს სამჯერ შემოა-ტრიალებდა და ღმერთს ხმაღლა შესთხოვდა: „...მშვიდობის წელიწადი გათენოს ღმერთმა მის ოჯახს, მისცეს უხვი მოსავალი ღვინის და ყოველგვარი ნამუშევრის“...სასმისით დალევდა ღვინოს, ზედ დააყოლებდა ხაჭაპურს და ღორის თავიდან ჩამონათალის ერთ ლუკმას.

### წმინდა ბასილის ლოცვა და მეკვლე გურიაში

მეკვლეს ლოცვა ასეთი იყო: „გადმოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი, გფარავდეს წმინდა ბასილი, იმისი მადლით იყავით პურით და ღვინით ავსილი“.

თხილის ღეროს ნახევრად ახდილ ბურბუშელებს, წმინდა ბასილის ფაფუკ წვერებს ადარებდნენ და ამით ხაზს უსვამდნენ სწრაფვას-წმინდა ბასილისებურ, ღვთისმოსაობისაკენ. ოჯახის უფროსი ჩიჩილაკით ხელდამშვენებული მიადგებოდა საკუთარ სახლის კარს და გარედან შესძახებდა: „კარი გამიღე“, სახლიდან პასუხი: „რა მოგაქვს?“ მამაკაცი მეკვლე: „მობრძანდება წმინდა ბასილი, მას მოაქვს ღვთისა და ბატონის მოწყალება, კაცთა მშვიდობა ,ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტი, პური და ღვინო, ბედაური ცხენი ლახტით შეკაზმული, ყირიმის თოფი, ინგლისის ფიშტო, მოჭედილი სატევარი და ყაჭ-აბრეშუმი. ამის შემდეგ სამჯერ მეორდება: „კარი გამიღე“, სამივეჯერვე ხვავსა და ბარაქას, ბეღლის ავსებას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას უსურვებდნენ ოჯახს. მერე შიგნიდან გაუღებდნენ მეკვლეს და მორთულ ჩიჩილაკთან ერთად, სახლში შეიპატიჟებდნენ. ოჯახის ყველა წევრს ხელში ანთებული თაფლის სანთლები ეჭირა. „ღმერთმა მრავალი ახალი წელიწადი გაგვითენოს“, -ულოცავდნენ ერთმანეთს, სამგზის ჩამოატარებდნენ ჩიჩილაკს და ერთ კუთხეს მიუჩენდნენ. ტრადიციით ჩიჩილაკის აღება ნათლიღების დღეს ხდებოდა და შემდეგ გაიტანდნენ და რომელიმე ხეზე ჩამოკიდებდნენ.

ძირითადად ასეთი იყო საკალანდო რიტუალები ძველ ოზურგეთში.

**მანანა ლომაძე,**
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.



კარი გამიღე. რა მოგაქვს“. არტემ ნაცვალაძე და თავისი მეუღლე ლიდა პროკოფის ასული ნაცვალაძე. 1941 წელი, გვაბრათი (ასკანა).

# ღია პირველობიდან კრივში 4 მედალი ჩვენია



18 - 20 დეკემბერს ქ. ბათუმში, კრივში რამზიკ პეტროსიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია პირველობა გაიმართა.

ღია პირველობაში მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების სპორტსმენებმა მიიღეს.

აღნიშნულ ტურნირში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა კრივის სექციის ოთხმა სპორტსმენმა იასპარეზა. ოზურგეთელი მოკრივეები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და წონით კატეგორიაში გამოვიდნენ და შეჯიბრიდან ერთი ოქრო და სამი ვერცხლის მედალი წამოიღეს.

**რომა აბესაძე** 56 კგ. წონით კატეგორია ( 2002 წ.) I ადგილი;

**ოთო აბესაძე** 48 კგ. წონითი კატეგორია ( 2003 წ.) Iლ ადგილი;

**გიორგი ხითაროვი** 48 კგ. წონითი კატეგორია ( 2005 წ.) I ადგილი;

**ომარ ბექაძე** 56 კგ. წონითი კატეგორია (2005 წ.) Iლ ადგილი;

ბათუმში გამართული ღია პირველობისთვის ოზურგეთელი მოკრივეები მწვრთნელებმა - **იური საჯაიამ** და **გოჩა გაბედავამ** მოამზადეს.

# ღია პირველობა ტაეკვანდოში

ოზურგეთში ტაეკვონდოში გურიის ღია პირველობა ჩატარდა. ჩემპიონატში ოზურგეთის, მერიის, ურეკისა და ქობულეთის გუნდები, ჯამში 50 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას . ღონისძიების დაწყებამდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ- გამაჯანსარებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ტაეკვონდოს სექციის მწვრთნელმა, ამავდროულად აღნიშნული სახეობის გურიის ფედერაციის პრეზიდენტმა, **ირაკლი ტუღუშმა** საპატიო სიგელებით ის ადამიანები დააჯილდოვა, რომლებიც სკოლას წლის მანძილზე ეხმარებოდნენ. ასევე მის საქმიანობას აშუქებდნენ.

რაც შეეხება გურიის ღია პირველობის შედეგებს: 15 -20 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი მერიელმა **ია მკავიამ;** 20 -25 კგ. წონით კატეგორიაში ურეკელმა **გიორგი სოხაძემ** ; 30-35 კგ. წონით კატეგორიაში კი ასევე ურეკელმა **ლუკა ჩხვიმიანმა** დაიკავა. 30-35 კგ. წონით კატეგორიაში ( ახალბედბში) კი პირველობა **ზუკა ჩხვიმიანმა** არავის დაუთმო. ასევე ოქროს მედალი ერგო ურეკელ **გურამ დავითაძეს.** 35-40 კგ. წონით კატეგორიაში **გიორგი მოდებაძემ** პირველი ადგილი აიღო. 40-45 კგ. წონით კატეგორიაში **საბა მეფარიშვილმა** ოქროს მედალი დაიმსახურა. ( ოზურგეთი) ასევე ოქროს მედალი დაიმსახურა **საბა ნატარიძემ** . (ურეკი) 50-55 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი **ნოდარ ბერიძემ** აიღო (ქობულეთი) 50 -55 **გიორგი ვასაძემ** ოქრო აიღო. ( ურეკი ) 50-55 კგ. წონით კატეგორიაში **სოსო ვარდაიამ** იბრძოლა და დაიკავა პირველი ადგილი ( ოზურგეთი) 60-65 კგ. წონით კატეგორიაში **საბა გოგუაძემ** პირველობა არავის დაუთმო ( ურეკი) 50 - 55 კგ. წონით კატეგორიაში **მარიამ მაჭარაშვილმა** პირველი ადგილი აიღო.

# გილოცავთ დამდეგ ახალ წელს! შობას, კალანდას!



გილოცავთ შობა-ახალ წელს!

მშვიდობისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ახალი 2019 წელი სრულიად საქართველოსთვის!

ჩემო ოზურგეთელებო, თქვენ განსაკუთრებული სიყვარულით გილოცავთ! გისურვებთ ხვავს, ბარაქას, სიკეთითა და სიხარულით სავსე დღეებს.

პატივისცემით,
**გიორგი ღურჯუმელიძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე



გილოცავთ ახალ 2019 წელს და შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობას, სიხარულსა და ბედნიერებას, წარმატებებსა და წინსვლას თქვენს საქმიანობაში! 2019 წელი სიკეთის მომტანი ყოფილიყოს ჩვენს ქვეყანაში.

პატივისცემით,
**მარი ჩხიკვიშვილი**
საკრებულოს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე



ჩემო საყვარელო გურულებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ აგსრულებოდეთ ოცნებები. ვისურვებდი, ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა აკეთოს თავისი საყვარელი საქმე და მიაღწიოს წარმატებას, ყველამ შეძლოს თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება და მიზნების მიღწევა. სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის, სიკეთის, წინსვლისა და კეთილდღეობის მომტანი ყოფილიყოს 2019 წელი ყველა ქართველისთვის.

**მაია ზოიძე,**
სოფელ გურიანთის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი



შობა-ახალი წლისა და კალანდის მობრძანებას გილოცავთ, ჩემო ოზურგეთელებო. ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს 2019 წელი თითოეული თქვენგანისთვის. ჯანის სიმრთელეს, სიხარულს, წარმატებებს და გამარჯვებებს გისურვებთ როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

**გია მამაკაიშვილი**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი



მრავალს ახალ წელს!
შპს „ვახვაძის პური“




შპს „მოდერნი 2009“
ბედნიერი ახალი წელი გაგითენებოდეთ!



საუკეთესო საბანკეტო დარბაზი საუკეთესო მომსახურებით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!
მის: ოზურგეთი, გაბ. ეპისკოპოსის ქ. №2

2019 წელსაც ერთად, თქვენს გვერდით ვიქნებით!




მის: უნივერსიტეტის ქ. №1

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წვიმა, თოვლით 0+3 | წვიმა, 0+2 | წვიმა, თოვლით 0+4 | წვიმა, თოვლით -1+4 | წვიმა -2+4 | მზე, ღრუბელი +4+6 | წვიმა +3+8 |
| 27 დეკემბერი ხუთშაბათი | 28 დეკემბერი პარასკევი | 29 დეკემბერი შაბათი | 30 დეკემბერი კვირა | 31 დეკემბერი ორშაბათი | 1 იანვარი სამშაბათი | 2 იანვარი ოთხშაბათი |